საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 1400/02-06
21/10/2019

1400-02-06-4-201910211742

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინებისა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' „ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის 2019 წლის 17 ოქტომბრის N22893/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 27 ოქტომბრიდან პირველი დეკემბრის ჩათვლით ქალაქ პოტსდამში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გრავიტაციული ფიზიკის მაქს პლანკის ინსტიტუტში, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად და თეორიული კოსმოლოგიის ჯგუფის სემინარზე ,,ევკლიდური შავი ხვრელების უარყოფითი მოდები" მოხსენების წასაკითხად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ლავრელაშვილი.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, გასცეს სამივლინებო სადღეღამისო ხარჯი 2451.82 ლარი (ნაწილობრივ), უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N1).
3. დაევალოს გიორგი ლავრელაშვილს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.

4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დანართი N 1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი
ლავრელაშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში
მივლინების ხარჯთაღრიცხვა

1. სადღეღამისო ხარჯი:

13 დღე (ნაწილობრივ) X 57 ევრო X 3.3088 ლარი =2451.82 ლარი

სულ: 2451.82 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. საღარეიშვილი